# ხელშეკრულება

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 151

ქ. სიღნაღი 28 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის გიორგი გოგილაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პისიშოპ.ჯი“ შემოდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის, ზურაბ ხორგუაშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შედეგზე

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი - შემსყიდველს.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1.ხელშეკრულების საგანია: ფერადი პრინტერისთვის 5 ცალი CL-56 და 4 ცალი PG-46 კარტრიჯის მიწოდება.

**2.2** შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 301192113 - მელნის/საღებავის კარტრიჯები.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 387 ლარს**

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე

4.3 მიმწოდებელტან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში

4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

4.5 დაფინანასების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

5. მიწოდების ვადა

5.1 მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 03 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **ხელშეკრულების ღირებულების 0,02% ოდენობით.**

6.2 საჯარომო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი მოვალეობის შერულებისაგან.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

## მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების და მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამით იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. 7.3

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემტხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 8 ფორს მაჟორი

8,1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

## მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია | შპს პისიშოპ.ჯი |
| ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის 2 | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N16 |
| ს/კოდი 240417223 | ს/კოდი 205198481 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს ,,თიბისი ბანკი'' |
| ბ/კოდი TRESGE22 | ბ/კოდი TBCBGE22 |
| ა/ნ GE24NB0330100200165022 | ა/ნ GE71TB 4088 9360 2010 0006 |
| სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი: | დირექტორი: |
| /გიორგი გოგილაშვილი/ | /ზურაბ ხორგუაშვილი/ |

Sighnaghi Municipality Digitally signed by Sighnaghi Municipality Date: 2019.11.29 12:42:43 +04'00'

PCSHOP .GE LLC Digitally signed by PCSHOP.GE LLC Date: 2019.11.28 18:32:02 +04'00'